

## პირსპექტივა

### საერთაშორისო (მსოფლიო) პატენტის რეალიზების გზები

დავით ქაშუაშვილი\*

მე-19 და მე-20 საუკუნეები ხასიათდება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის, ჩამოყალიბება-განვითარებისა და საყოველთაოდ აღიარების ხანად. ამ პერიოდში „ინტელექტუალური საკუთრება“ იქცა საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემებისათვის მისაღებ იურიდიულ ტერმინად. ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ამ სფეროში მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის წახალისების, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო ორგანო „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია“ (ისმო), რომელიც ყველაზე შემოსავლიანი და ეკონომიკურად სტაბილური ორგანოა გაეროს სხვა ორგანოთა შორის.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ვრცელდება: ეკონომიკურ ბრუნვაში, კერძოდ ქონებრივ ურთიერთობებში ჩართული ან საამისოდ განკუთვნილი მხატვრული და ლიტერატურული შემოქმედების შედეგად წარმოშობილი იდეებისა თუ ნააზრვეის გამოხატვის ფორმაზე – ნებისმიერი სახის ნაწარმოებზე (საავტორო სამართალი), შემეცნებითი და ტექნიკური შემოქმედების შედეგად წარმოშობილ ტექნიკურ იდეებზე – გამოგონებებზე (სამრეწველო საკუთრების, კერძოდ, საპატენტო სამართალი) და აღნიშნული ობიექტებით ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი გზით სარგებლობისათვის საჭირო, საშემსრულებლო და სამენარმეო შემოქმედების შედეგზე – შესრულებაზე, ფონო- და ვიდეოჩანაწერზე, სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემაზე, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე, გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, საფირმო სახელწოდებებზე და სხვა კომერციულ აღნიშვნებზე.<sup>1</sup> ამ ობიექტების მიკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების სამართლისადმი მათ განკერძოებას (პრივატიზებას) განამტკიცებს, რამდენადაც სამართლის ეს დარგი კერძო სამართლის შემადგენელ ნაწილად იქნა ცნობილი ყველა სამართლებრივი სისტემის მიხედვით.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალურსაკუთრებითი ნორმები ჩამოყალიბდა და ვითარდება სანივთო საკუთრებითი ნორმების ანალოგიურად, მაგრამ იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მის ობიექტებს ახასიათებს, მრავალრიცხოვანი შეზღუდვის დანესება და ასეთი შეზღუდვების ახალი საფუძვლების წარმოჩენა გარდაუვალია კაცობრიობის მეცნიერულ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და ა.შ. წინსვლასთან ერთად.<sup>3</sup>

\*საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოს – „საქპატენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

<sup>1</sup> ამ სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება არ მახვილდება ინტელექტუალური საკუთრების დანარჩენ ობიექტებზე.

<sup>2</sup> საკითხს განსხვავებულად წყვეტდა სოციალისტური ქვეყნების სამართალი.

<sup>3</sup> XX საუკუნეში მიღწეული განვითარების შედეგებმა იურისტ მეცნიერთა წრეში წარმოშვა არა მარტო ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების მაქსიმალური შეზღუდვების დანესების მომხრეთა სკოლა, არამედ ისეთი მიმდინარეობაც, რომელიც საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის არსებობას. ასეთი შეხედულებების საფუძვლად თანამედროვე მეცნიერები, უპირველესად, ასახელებენ ადამიანის კულტურული მოთხოვნილების დაუბრკოლებელი

ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების შეზღუდვებიდან შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად თვალშისაცემია ამ უფლებების მოქმედების შემოფარგვლა ცალკე აღებული ქვეყნის საზღვრებით. თანაც, ამ უფლებების მოქმედების ეს დანაწესი თავიდანვე იქნა დადგენილი და სანივთო საკუთრებითი უფლებისაგან განსხვავებით კერძო საკუთრების თავისებური რეჟიმი წარმოიშვა. ასეთი დანაწესი ერთგვარი ხელოვნური ხარვეზია, რამაც თავი განსაკუთრებულად მწვავედ იჩინა საერთაშორისო ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების ინტენსიური განხორციელებისა და გლობალიზაციის პერიოდში. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებამ საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიიყვანა სპეციალური, ფუძემდებლური და გლობალური მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების აუცილებლობამდე. სადღეისოდ მოქმედ ამ ხელშეკრულებებში აისახა ის თავისებურებები, რაც ინტელექტუალური საკუთრების ცალკეულ ინსტიტუტებს ახასიათებს. შესაბამისად, ერთ შემთხვევაში მოხერხდა ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლების მოქმედების ტერიტორიული შეზღუდვის თავიდან აცილება, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული.<sup>4</sup> ასეთი ვითარება დისპარმონიას ქმნის და ერთმანეთისაგან უსაფუძვლოდ ამხოლოებს ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტებს, რაც სრულიად უმართებულოდ გვეჩვენება, განსაკუთრებით ისეთ ობიექტებთან მიმართებით, რომლებიც იქმნება მსგავსი შემოქმედების შედეგად. მხედველობაში ნაწარმოები და გამოგონება გვაქვს, რომელთა შექმნა დაკავშირებულია მხატვრულ-ლიტერატურულ და ტექნიკურ შემოქმედებასთან. შესაბამისად, შექმნილი ობიექტები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ იმითი, რომ ერთ შემთხვევაში განკუთვნილია ადამიანის კულტურული და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში ადამიანის ეკონომიკურ-ტექნიკური განვითარებისა და ღირსეული ყოფისათვის გამიზნული ქონებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამ სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, მსჯელობას გავაგრძელებთ და საკითხს გავაშუქებთ საპატენტო სამართლის მაგალითზე.

საპატენტო სამართლის არსებობა ინტელექტუალური საკუთრების სხვა სფეროების მსგავსად, განპირობებულია მრეწველობისა და საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით. საპატენტო სამართლის ნორმები ხელოვნურად იქმნებოდა და ყოველი სუვერენი ვერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ცდილობდა შეექმნა რაც შეიძლება მეტად ხელსაყრელი სისტემა, რომელიც წაახალისებდა და დაიცავდა შემქმნელთა და მენარმეთა ინტერესებს, რომლებიც რთავდნენ ეკონომიკურ ბრუნვაში ახალ, ქვეყნისათვის სასარგებლო შემოქმედებითი ორიგინალობით გამორჩეულ ტექნიკურ ქმნილებებს. თავდაპირველად აღნიშნულ პირებს ებოძებოდათ პრივილეგიები, მონოპოლიის სახით. ნათელია, რომ მაშინდელი სუვერენი ვერ გასცემდა ისეთ პრივილეგიას, რომელიც მისი გამგებლობის ქვეშ მყოფი ქვეყნის ფარგლებს გასცდებოდა.

---

დაკმაყოფილების, იდეების თავისუფლად გავრცელების და, საერთოდ, ცოდნის შექმნისა და გავრცელებისათვის საჭირო ნებისმიერი მონაცემის (ინფორმაციის) საჯარო ხელმისაწვდომობას. ამ კუთხით ინტელექტუალურსაკუთრებით ობიექტებს „საჯარო საქონელს“ (public goods) უწოდებენ. საქმის ვითარების უფრო დანვრისთვის გასაცნობად იხ. შემდეგი ლიტერატურა: *Makeen Foud Makeen, Copyright in a Global Information Society, The Scope of Copyright Protection under International, US, UK, and French Law, 2000; Koepsell, The Ontology of Cyberspace, Law, Philosophy, and the Future of Intellectual Property, 2000; Halbert, Intellectual Property in the Information Age, The politics of expanding ownership rights, 1999.*

<sup>4</sup> უმთავრესი მიზანი აქ უფლებათა მოპოვების განსხვავებული რეჟიმის არსებობაა. როდესაც უფლებათა მოპოვებისათვის რაიმე სპეციალური იურიდიული პროცედურების შესრულება არ არის აუცილებელი (ნაწარმოები, შესრულება, კომერციული აღნიშვნები) საკითხი მოგვარებულია, ხოლო, როდესაც აუცილებელია ადმინისტრაციული პროცედურების გავლა უფლებების მოპოვებისათვის (გამოგონება), საკითხი გადასაწყვეტია ამჟამადაც.

შემდგომი განვითარება მიმართულ იქნა გამომგონებელთა უფლებების პოზიტიურსამართლებრივი ნორმებით განმტკიცებისაკენ. შუა საუკუნეების პრივილეგიების მსგავსად, პირველი საპატენტო კანონები გამომგონებელთა უფლებების მოქმედებას ავრცელებდნენ მხოლოდ მოცემული ქვეყნის საზღვრებში. პირველი კანონები ითვალისწინებდნენ მხოლოდ ქონებრივ უფლებებს და, ბუნებრივია, რომ საპატენტო სამართლის პოზიტიური ნორმები იქმნებოდა სანივთო საკუთრების ნორმების ანალოგიურად, მაგრამ დასაწყისიდანვე მათში ვერ იქნა ჩადებული მატერიალური ნივთისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი: „საკუთრების უფლება თან მისდევს ნივთს“. ამ ვითარების გამომწვევი მიზეზი ისიც იყო, რომ ზოგ ქვეყანაში ტექნიკური ქმნილებების დაცვა დაწესდა, ხოლო ზოგში ჯერ კიდევ არა, ამასთან, საპატენტო კანონების მიღება ხდებოდა ყოველ ქვეყანაში სხვა ქვეყნისაგან დამოუკიდებლად. ამავე დროს, არ არსებობდა დღეს უკვე კარგად ცნობილი და აღიარებული, თეორიულად დასაბუთებული ზოგადი პრინციპები, რომლებზეც უნდა დაფუძნებულიყო მატერიალური საპატენტო სამართალი და რომლებიც ნაყოფიერს ხდის საპატენტოსამართლებრივი ნორმების საერთაშორისო ჰარმონიზაციისაკენ მიმართულ საქმიანობას. ისმოს ეგვიდით ცხოვრებაში უკვე გატარდა მრავალი ღონისძიება, რაც დაგვირგვინდა ახალი საერთაშორისო აქტების მიღებით. პირველი ეტაპი დასრულდა საპატენტო სამართლის შესახებ ხელშეკრულებით (*Patent Law Treaty – PLT*), რომელიც ანესრიგებს ფორმალური მოთხოვნების ნორმების ჰარმონიზაციის საკითხს. ამჟამად მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა მატერიალური საპატენტო სამართლის შესახებ ხელშეკრულების მიღების მიზნით (*Substantive Patent Law Treaty – SPLT*).

მატერიალური საპატენტო სამართლის შესახებ ხელშეკრულების მიღება საშუალებას მოგვცემს, ერთგვაროვნად მოწესრიგდეს საპატენტო უფლებების არსობრივი მხარე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება, თავიდან იქნეს აცილებული საპატენტო უფლებების მოქმედების ტერიტორიული შეზღუდვა. მატერიალურ ნივთზე საკუთრების უფლების მსგავსად, შესაძლებელი ხდება, საპატენტო ქონებრივ (განსაკუთრებულ) უფლებებზე გავრცელდეს ზემოთ აღნიშნული პრინციპი, რომელიც შეიძლება ნარმოვადგინოთ ფორმულით: „უფლება თან მისდევს გამოგონებას“. ეს ვითარება კი ქმნის შესაძლებლობას, ხორცი შეესხას „მსოფლიო პატენტის“ იდეას, რომელზეც ოცნებობს ნებისმიერი გამომგონებელი და მისი უფლებამონაცვლე.

ამ იდეის განხორციელებისათვის შექმნილია თეორიული და პრაქტიკული წინამძღვრები.<sup>5</sup> საქმის ვითარება შემდეგია: საავტორო სამართლის საერთაშორისო ნორმებით – ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციით (შემდგომში „ბერნის კონვენცია“) ნაწარმოებთან დაკავშირებული უფლებები ავტომატურადაა დაცული ყველა მონაწილე ქვეყანაში, რომელთა რიცხვი სადღეისოდ ცნობილი მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტურ უმეტესობას შეადგენს. ამ კონვენციის მიხედვით, საავტორო განსაკუთრებული უფლება თან მისდევს ნაწარმოებს. ვინაიდან, ჩვენი აზრით, შემოქმედებითი საქმიანობით დასაქმებულ პირთა (ავტორი, გამომგონებელი) უფლებები ერთი ონტოლოგიური და იურიდიული ბუნებისაა, საპატენტო უფლებების მოქმედების აღიარებას ტერიტორიული

<sup>5</sup> სადღეისოდ იურისტი მეცნიერები სვამენ მთელ მსოფლიოში არა მარტო ტექნიკური იდეების დაცვის საკითხს, არამედ ნებისმიერი იდეების მსოფლიო რეესტრის შექმნისა და შესაბამისი, სათანადო სამართლებრივი რეჟიმის შემუშავების საკითხს. ამ მიმართებით საკმარისად მივიჩნევთ, მივუთითოთ სრულიად ახალი პუბლიკაცია: *Livingston, World-wide idea registration in a global idea bank is a sine qua non to protect present intellectual property ideas for posterity*, გამოქვეყნებული: *The Journal of World Intellectual Property, Law, Economics, Politics*, vol.8, No.4, 499-517.

შეზღუდვების გარეშე წინ არსობრივი პრობლემები არ უდგას. უფრო მეტიც, მძლავრად იგრძნობა ამ საკითხის მოგვარების მცდელობა, რასაც მოითხოვს მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც შეეხო საერთაშორისო ვაჭრობას. ამ საკითხს სათავეში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) და ისმო უდგას. ვმო-ს ფარგლებში მიღებულია ვაჭრობის თანმხვედრი ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების შესახებ ხელშეკრულება (*Agreement on Trade Related Aspects of Intellectual Property Rights – TRIPS*), რომელიც ავალდებულებს ვმო-ს ნებისმიერ წევრ ქვეყანას, ერთგვარონად მოაწესრიგოს ვაჭრობასთან დაკავშირებული უფლებები, მათ შორის, ინტელექტუალურსაკუთრებითი და, რა თქმა უნდა, საპატენტო უფლებებიც, რომლებიც კომერციისაგან განუყოფელია. ამ ხელშეკრულების ძალით, ყველა მონაწილე ქვეყანა ვალდებულია, ეროვნულ კანონებში გაითვალისწინოს საპატენტო სამართლის აღიარებული პრინციპები. უფლებათა მფლობელები უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი უფლებები მიჰყვება ვაჭრობის ობიექტებს ქვეყნიდან ქვეყნამდე. მაშასადამე, დასმულია ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების მოქმედების ექსტერიტორიული გავრცელების საკითხი. ამ მიმართებით საქმე მოგვარებულად გამოიყურება საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერნის კონვენციის ძალით.

სამრეწველო საკუთრების სამართლის სფეროში მოქმედი პარიზის კონვენცია, რომელიც, ამავე დროს, ეხება საპატენტო სამართლის ობიექტებს, საკითხს ვერ წყვეტს. ის არ შეიცავს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე უფლებათა მოქმედების ავტომატურად გავრცელების პრინციპს. ჩვენი აზრით, ეს უმთავრესად იმის გამოა, რომ ამ ობიექტებზე უფლებების მოპოვებას ესაჭიროება ადმინისტრაციული პროცედურები, რომლებიც აუცილებლად ხორციელდება ეროვნული კანონებისა და პროცედურების მიხედვით. მათი უგულებელყოფა შეუძლებელია, რადგან უნდა არსებობდეს ოფიციალურად დარეგისტრირებული საპატენტო აღწერილობა და გამოგონების ფორმულა. თავად პროცედურები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით: ქვეყანათა ერთ ჯგუფში გაიოლებულია – მონმდება მხოლოდ ფორმალური მოთხოვნები, ხოლო ქვეყნების სხვა ჯგუფში არსობრივი შესწავლა ხორციელდება, რაც ართულებს და ძვირად ღირებულს ხდის საპატენტო ექსპერტიზას. ეს გასაგებია არის, რადგან უკანასკნელი ტიპის ექსპერტიზა მოიცავს საინფორმაციო მოძიებისა და კრიტიკული შეფასების პროცესებს, რომლებიც უნიფიცირებულია და წარმოდგენილია სიახლის, სამრეწველო გამოყენებადობისა და საგამომგონებლო დონის სახით. უფლებათა მოპოვების გაიოლებისათვის არსებობს პარიზის კონვენციის ეგიდით დადებული საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც საერთაშორისო ფაზას ითვალისწინებს. მაგრამ, ამავე ხელშეკრულების მიხედვით, აუცილებელია ეროვნული პროცედურების განხორციელება საერთაშორისო ფაზის დასრულების შემდეგ.

საპატენტო უფლებათა მოქმედების ტერიტორიული გაფართოების მიზნით არსებობს რეგიონალური ხელშეკრულებები, რომელთაგან ზოგიერთი ამ უფლებების მოქმედებას ავრცელებს რეგიონალურ შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე. ასეთია, მაგალითად, ევრაზიის საპატენტო კონვენცია, რომლის მონაწილენიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებია, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, საქართველოსი, უკრაინისა და უზბეკეთისა. ანალოგიური რეგიონალური პატენტის მოქმედება გათვალისწინებულია აფრიკის ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ფრანგულენოვანი და ინგლისურენოვანი ქვეყნების მიერ დადებული ორი რეგიონალური ხელშეკრულება (ესენია ხელშეკრულებები: აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის – *Organization Africaine de la Propriete Industrielle* – შესახებ და სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის –

*African Regional Industrial Property Organisation* – შესახებ). ევროპული თანამეგობრობის მიერ ჯერ კიდევ ვერ იქნა რეალიზებული ერთიანი ევროპული პატენტის იდეა, რომელსაც ითვალისწინებს მომზადებული ხელშეკრულების პროექტი.<sup>6</sup>

სამრეწველო საკუთრების ობიექტებს შორის უკეთესი მდგომარეობაა სასაქონლო (მომსახურების) ნიშნებთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით. საკითხი გადანყვეტილია საერთაშორისო რეგისტრაციის გზით, რომელიც ძალას იძენს ყველა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ დათქმული დროის განმავლობაში რომელიმე ქვეყანა არ იტყვის უარს მოქმედების გავრცელებაზე, რაც იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც უფლება ანალოგიურ ობიექტზე მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე არსებობს, ან ობიექტი რომელიმე ქვეყანაში ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის ნორმებს. მიუხედავად ეროვნული პროცედურის ამ ნაწილისა, სამრეწველო საკუთრების ასეთი ობიექტების მიმართაც საკითხი მაინც დადებითად გადანყვეტილად უნდა ჩაითვალოს.<sup>7</sup>

ზემოთ მოტანილი ანალიზი გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებებიდან „დაჩაგრულად“ მხოლოდ საპატენტო უფლებები გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედების ექსტერიტორიულბას წინ გადაულახავი სამართლებრივი პრობლემები აღარ უდგას. წარმოვადგენთ საკითხის გადანყვეტის ჩვენეულ გზებს:

1. პარიზის კონვენციაში შეტანილ იქნეს ნორმა, რომლის მიხედვითაც საპატენტო უფლებები გავრცელდება მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე, თუ იქნება შესრულებული სპეციალური საერთაშორისო პროცედურები. თუ უფლებათა მფლობელებს სურვილი არ ექნებათ ასეთი პროცედურების შესრულებისა, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ეროვნული პროცედურებით მოიპოვონ საპატენტო უფლებები, რომლებიც იმოქმედებს მხოლოდ შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთი წესით ჩამოყალიბდება საპატენტო უფლებების მოქმედების ორგვარი რეჟიმი – ექსტერიტორიული (საერთაშორისო რეგისტრაციით გაცემული საერთაშორისო (მსოფლიო) პატენტის<sup>8</sup> საფუძველზე) და ცალკეული ქვეყნის ტერიტორიით შემოფარგლული (ეროვნული პატენტის საფუძველზე).

2. საერთაშორისო პატენტი დაეფუძნოს საერთაშორისო განაცხადს, რომელიც შეიტანება წარმოშობის ქვეყნის საპატენტო უწყებაში, სადაც ჩატარდება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და აღინიშნება შეტანის თარიღი, რომელიც საერთაშორისო განაცხადის შეტანის თარიღი იქნება.

<sup>6</sup> არსებობს ევროპის საპატენტო კონვენცია, რომელიც აწესებს მასში შემავალი ქვეყნებისათვის ერთიანი ექსპერტიზის პროცედურას, რომელიც მთავრდება გადანყვეტილებით პატენტის გაცემის თაობაზე, მაგრამ ერთიანი პატენტი არ გაიცემა, რადგან უნდა შესრულდეს აუცილებელი ეროვნული პროცედურაც – აუცილებელია გამოგონების ფორმულის დარეგისტრირება ყოველ ქვეყანაში ეროვნულ ენაზე თარგმანის წარდგენისა და გარკვეული საფასურების გადახდის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტი ვერ იმოქმედებს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე.

<sup>7</sup> საერთაშორისო რეგისტრაციით მოპოვებული უფლების მოქმედების შესახებ შეიძლება გამოითქვას გარკვეული მოსაზრებები მისი სრულყოფისათვის, მაგრამ, რადგან ამ სტატიის მიზანი ეს არაა, უფრო დანვრილებით მათ არ შევეხებით.

<sup>8</sup> ტერმინად საერთაშორისო პატენტი ვარჩიეთ, რადგან უკვე არსებობს ტერმინი „საერთაშორისო განაცხადი“, რომელიც გათვალისწინებულია საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით. ექსტერიტორიული პატენტისათვის მისაღებად ვთვლით სხვა ტერმინსაც, მაგალითად, ტერმინს „მსოფლიო პატენტი“.

## პარსკეპტივა

2.1 საერთაშორისო განაცხადი თავდაპირველად შეიძლება იქნეს გაფორმებული ეროვნულ ენაზე, მაგრამ აუცილებელი იქნება, ითარგმნოს საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, მაგალითად, ინგლისურზე.<sup>9</sup>

2.2 ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზაგავლილი განაცხადი გადაეგზავნება საერთაშორისო ორგანოს, რომლის როლიც შეიძლება შეასრულოს უკვე არსებულმა საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების საერთაშორისო ბიურომ.

2.3 მიღებული განაცხადი ბიუროს მიერ შეიტანება საერთაშორისო რეესტრში და გამოქვეყნდება (ამასთან, თუ განაცხადი თავდაპირველად შეტანილ იქნა ეროვნულ ენაზე, მაშინ გამოქვეყნება შეიძლება მოხდეს ეროვნულსა და ოფიციალურ ენაზე ერთდროულად).

2.4 გამოქვეყნების შემდეგ გაიცემა საერთაშორისო პატენტი, რომელიც იმოქმედებს 20 წელიწადს, როგორც ეს დღეს ხდება.<sup>10</sup>

პატენტის გაცემის ასეთი სისტემა იქნება ოპერატიული და იაფი. ის ფაქტი, რომ არ იქნება ჩატარებული არსობრივი ექსპერტიზა, საერთაშორისო პატენტის სტატუსს ვერ შელახავს. ამ აზრს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი და ქმედითი განვითარება ამაგრებს. საზოგადოების გლობალური ინფორმაციზაცია შეუფერხებლად დაიკვიდრებს ადგილს მომავალში. აქედან გამომდინარე, თავად პატენტის უფლების მოპოვების პრეტენდენტები იქნებიან არანაკლებ ინფორმირებულნი ტექნიკური მიღწევების შესახებ, ვიდრე ნებისმიერი საპატენტო უწყება, ხოლო თავად გამომგონებელი, შესაბამისი საპატენტო ცოდნის მქონე სპეციალისტთან ერთად, კრიტერიუმებს შეაფასებს არანაკლებ უკეთესად, ვიდრე საპატენტო უწყების ექსპერტი.<sup>11</sup> საპატენტო უწყების ამოცანებს შორის მნიშვნელოვანი იქნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება. მაშასადამე, პატენტის გაცემა მისი სიახლისადმი ან საგამომგონებლო დონისადმი შესაბამისობის ადმინისტრაციული წესით შემოწმების გარეშე ვერ დააკნინებს საერთაშორისო პატენტს და ვერ გახდის მას ადვილად გასაბათილებელს. მომავალი პატენტმფლობელი თავად იზრუნებს საკუთარი უფლებების მტკიცედ არსებობის შესახებ (არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით განსაზღვრავს კრიტერიუმებისადმი შესაბამისობას) და არ გადაწყვეტს ადვილად გასაბათილებელი პატენტის აღებას, რადგან მას, ეკონომიკური ზიანის გარდა, ასეთი პატენტი ვერაფერს მოუტანს. ამასთან, თუკი მომავალი პატენტის მფლობელი უპირატესობას კრიტერიუმების ოფიციალურ შემოწმებას მიანიჭებს, მაშინ მას შეეძლება გამოიყენოს საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების არსებული შესაძლებლობა და მოითხოვოს საერთაშორისო საინფორმაციო ძიების საფუძველზე წინასწარი არსობრივი ექსპერტიზის ჩატარება. შეფასების მოცემული ორივე გზა ფაკულტატიური შეიძლება იყოს.

3. საერთაშორისო პატენტის გაცემა შეიძლება, აგრეთვე, მოხდეს ეროვნული პატენტის საფუძველზე, თუ მისი მოქმედების ვადა არ არის ამონურული (შემოტანილი პატენტის ანალოგიური რეჟიმის დანესებით).

<sup>9</sup> არსებული რეალობიდან გამომდინარე, ინგლისური ენა შეიძლება გახდეს საერთაშორისო პატენტის ერთადერთ ოფიციალურ ენად.

<sup>10</sup> პატენტის მოქმედების ვადის გაზრდას არ ვემხრობით.

<sup>11</sup> აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნული საპატენტო უწყებების როლი გარკვეულ გონივრულ ფარგლებში შეიძლება იქნეს იგნორირებული, უკვე გამოთქმულია და ისეთი ძლიერი ქვეყნის საპატენტო უწყების მიმართ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია. *Ono, In Search of Positive Developments in International Intellectual Property Policy, Intellectual Property Litigation System Reform in Japan, The Journal of World Intellectual Property, Law, Economics, Politics, vol.8, No.4, 459-497.*

4. გაცემული საერთაშორისო პატენტი ძალაში იქნება, თუ ის არ გასაჩივრდება დაინტერესებული პირის მიერ და თუ მას სასამართლო დანესებული მოთხოვნებისადმი (უნიფიცირებული კრიტერიუმებისადმი) შეუსაბამოდ მიიჩნევს, მაშინ საერთაშორისო პატენტი გაბათილდება.<sup>12</sup>

საჩივარი შეიძლება განიხილოს:

- ნებისმიერი ქვეყნის სასამართლომ;
- იმ ქვეყნების სასამართლოებმა, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით იქნება განსაზღვრული;
- სპეციალურად შექმნილმა საერთაშორისო საპატენტო სასამართლომ, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოებიდან წარგზავნილი წარმომადგენლები (მოსამართლეები).

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო პატენტის იდეის განხორციელებისათვის, პარიზის კონვენციაში ცვლილების შეტანის გარდა, აუცილებელი იქნება ახალი ხელშეკრულების მიღება, რომელშიც გაითვალისწინება ყველა ის დადებითი მხარე, რაც ახასიათებს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებას, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულებასა და მის პროტოკოლს, სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმებას და მის ჟენევის აქტს, წარმოშობის ადგილის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულებას, PLT-ს, TRIPS-ს, SPLT-ს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო აქტებს, მათ შორის, ევროდირექტივებსა და ინსტრუქციებს.

ამ სტატიაში, ცხადია, ამომწურავად ვერ იქნებოდა გაშუქებული ყველა პრაქტიკული და თეორიული საკითხი საერთაშორისო პატენტის ახალი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა დისკუსიაში, თუ ის წარმოიშვა და უფრო დანვრილებით წარმოვაჩინოთ პრაქტიკული ასპექტები.

---

<sup>12</sup> თუმცა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პატენტის ბათილობა მხოლოდ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე (დაინტერესებული მხარეების მიხედვით).